საქართველო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

(ქ. ოზურგეთი კოსტავას ქ. №1, ტელ. 27-45-25)

N 76
08/09/2016

76-06-4-201609081632

ბრძანება

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის სამდივნო განყოფილების უფროსის ავთანდილ გოლიაძის და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მთავარი სპეციალისტის საოქმო მომსახურების საკითხებში გივი ყაზაიშვილის, მივლინების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის და „მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 30 აპრილის №231 ბრძანებულების შესაბამისად:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის სამდივნო განყოფილების უფროსი ავთანდილ გოლიაძე და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მთავარი სპეციალისტი გივი ყაზაიშვილი, მივლინებული იქნან ა/წ 12 და 13 სექტემბერს ქალაქ ქობულეთში, სასტუმრო „ჯორჯია პალასი“ (მის. აღმაშენებლის გამზირი N 275), საჯარო სამსახურის ბიუროს ორგანიზებით დაგეგმილ „ეთიკისა და მამხილებელთა დაცვის საკითხებში“ ტრენინგზე მონაწილეობის მისაღებად.

2. დაევალოს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება, მათ შორის, მივლინებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების უზრუნველყოფა.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი, ი.სიორიძის ქ.#14).

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

დავით დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო